


საბერძნეთში აღმოჩენილი თავის ქადა ევროპაში ადრეუდ ადამიანთა გამორჩენას თავდაყირა აყენებს



საბერძნეთში აღმოჩენილი თავის ქადას ფრაგმენტმა ახალი, ამადედევედი ჰიპოთეზა წარმოშვა ევროპაში ადამიანთა პირველად გამორჩენის შესახებ. გაჩნდა გარკვეული სპეკტიციზმი იმ მეცნიერებშიც, რომლებიც იკვდივნენ, როდის და რატომ გაქრა აფრიკიდან ჰომო საპიენსი.

განმარხებული თავის ქადა 1970-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ საბერძნეთში, მღვიმეში აღმოაჩინეს; მას შემდეგ ის მუზეუმში ინახებოდა. მკვდევართა განცხადებით, ის ეკუთვნოდა ანატომიურად თანამედროვე მახასიათებელთა მქონე ინდივიდს, რომელიც დაახლოებით 210 000 წლის წინ ცხოვრობდა. თუკი ეს მართლაც ასეა, საქმე გვაქვს აფრიკის გარეთ აღმოჩენილ ყველაზე ძველ ჰომო საპიენსთან. გარდა ამისა, მისი ასაკი 160 000 წლით უფრო მეტია ევროპაში აღმოჩენილ სხვა ნებისმიერი ჰომო საპიენსის ნამარხზე.

საკმაოდ წონიან ექსპერტთა მიერ ჩატარებული ახალი კვლევა რამდენიმე დღის წინ ჟურნალ [Nature](#)-ში გამოქვეყნდა და უმად მიიქცია სხვა მკვდევართა ყურადღება. უთანხმოება ამ სფეროში უჩვეულო სურაც არ არის. ნამარხები როგორც წესი იშვიათია, დანაწევრებულია და ძნელია დათარიღება, ადამიანთა პრეისტორია კი დიდწილად ბურუსით არის მოცული.

ახალი კვლევა ფოკუსირებულია ორი თავის ქადას დაზიანებულ ფრაგმენტებზე; მათ აპიდიმა 1 და აპიდიმა 2 უწოდეს და აღმოაჩინეს ერთმანეთისგან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით. ამის გამო,

მეცნიერებმა თავდაპირველად იფიქრეს, რომ ისინი ერთი ასაკისა იყო. თუმცა, ნიმუშებში არსებული ურანის რადიოაქტიური დაშლის მეთოდით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინდივიდები სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნის. როგორც ტესტები მიუთითებს, აპიდიმა 1 დაახლოებით 210 000 წლისაა, აპიდიმა 2 კი 170 000 წლის.

ამ თარიღებმა აბსოლუტურად შეარყია ევროპის ადრეულ ადამიანებთან დაკავშირებით სამეცნიერო საზოგადოებაში არსებული კონსენსუსი. სხვადასხვა მეთოდისა და მოდერის გამოყენებით, მკვლევრებმა სცადეს გაერკვიათ, როგორ გამოიყურებოდა თავის ქაღები დაზიანებამდე.

აპიდიმა 2, შედარებით ახალი თავის ქაღა აშკარად ჰგავს ნეანდერტალს და მუსტად ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ჩვენი წარმოდგენით ევროპაში ამ სახეობის ადრეული ადამიანები დომინირებდნენ.

თუმცა, უფრო ძველი თავის ქაღა, აპიდიმა 2 სურაც არ ჰგავს ნეანდერტალსას; ის უფრო ადრეულ ჰომო საპიენსს წააგავს.

თავის ქაღისგან ბევრი არაფერია დარჩენილი – მხოლოდ უკანა ნაწილი, მაგრამ აქვს მომრგვალებული ფორმა და ადრეული თანამედროვე ადამიანისთვის ჩვეული სხვა მახასიათებლები. ევროპაში ასე ადრეულ ადამიანთა არსებობა სურაც არ არის დაუჭერებელი. შარშან მკვლევართა სხვა ჯგუფმა ისრაელის ერთ-ერთ მღვიმეში აღმოაჩინა მათი აზრით ჰომო საპიენსის ყბის ძვალი და კბილები, რომელიც 177 000-197 000 წლისაა.

ახალი კვლევის მიხედვით, დევანტსა და თურქეთზე უნდა გადაინიშო ადრეულ თანამედროვე ადამიანთათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისკენ მიმდინარე გზები.

თუ ეს მოსაზრება მართებულია, ავტორთა აზრით, აპიდიმა 1 არის ევრაზიაში ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ჰომო საპიენსი, რაც მიუთითებს, რომ ადრეულმა თანამედროვე ადამიანებმა აფრიკა იმაზე გაცილებით ადრე დატოვეს და იმაზე მეტად შორს წავიდნენ, ვიდრე აქამდე გვეგონა. მსგავსი: ინდოეთში აღმოჩენილი ქვის იარაღებმა, უძველეს...

აღმოჩენა ასევე მიუთითებს, რომ ადრეულ თანამედროვე ადამიანებს

კონტაქტი ჰქონდათ ნეანდერტალბთან, რომლებიც 40 000 წლის წინ მას შემდეგ გადაშენდნენ, რაც დასავლეთ ევრაზიაში თანამედროვე ადამიანთა ჯგუფი გამოჩნდა. კვლევას თან ახლავს ჩვეური გამოწვევები, რადგან ეფუძნება მხოლოდ ერთი თავის ქარის ნაწილს, რომელიც დამსხვრეული და დაზიანებულია.

ვერ მიაკვრიეს სხვა ვერაფერს, ვერც ქვის იარაღებს, ვერც სამარხებს. ახალ ჰიპოთეზას მნიშვნელოვნად გაამყარებს ამ რეგიონში მეორე ჰომო საპიენსის ნამარხის აღმოჩენა.

კვლევის წაკითხვის შემდეგ, რამდენიმე პარენტოლოგი სკეპტიკურად განეწყო. სმიტსონის ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმის პარენტოლოგი რიკ პოტი აღნიშნავს, რომ ამ კვლევის შედეგი ერთჯერადია, წინათ დადასტურებული თარიღებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, მაგრამ ეს სურაც არ ნიშნავს, რომ ის მცდარია. მისი თქმით, დაზუსტებით რამის მტკიცება ძნელია და ყველაფერს სხვა ეგზემპლარების აღმოჩენა გაარკვევს.

მომზადებულია The Washington Post-ის მიხედვით

ltv.ge